ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲓᲘᲗ!

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐ�პ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ — ᲓᲐ — ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲔᲑᲘᲡ

ᲪᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲐᲓᲛᲘᲡ (ᲧᲝᲤ. ᲓᲘᲓᲝ ᲛᲝᲗᲐᲠᲗᲐᲡ) Ქ. № 68, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲨᲣᲗᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ.) ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 14—76) ᲛᲓᲘᲒᲘᲜᲘᲡ 10—68

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, № 84, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 8—81.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ

მუშა - მოსამსახურე: თვთვის, ბლეტების წითელარმიელთების, მოწამეების და მასწავლებლებისთვის — 1 მან., დანარჩენებისთვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—30 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % სანალოგო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბ ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“-ს ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲐᲛᲔᲙᲘᲪᲐ ᲙᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲐᲞᲔᲚᲘ.
— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲑᲐᲚᲐᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.
— ᲙᲝᲚᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲛᲔᲙᲘᲪᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ.
— ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲝᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ.
— ᲐᲚᲘ ᲐᲮᲛᲔᲓ-ᲮᲐᲜᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲐᲙᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲡ.
— „ᲠᲝᲐᲠ“-ᲘᲡ ᲓᲐ „ᲘᲜᲒᲚᲝ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ“-ᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.
— 1926 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 3 ᲛᲐᲠᲢᲘ 1929 Წ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 50 (2396)

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 4 ᲛᲐᲠᲢᲡ, 4 ᲡᲐᲐ. ᲡᲐᲐᲗᲝᲖᲔ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡ-ᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲖᲘ

ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

თბილისის კომიტეტის ყველა წევრ-კანდიდატი დასწრება სავალდებულოა. დღის წესრიგშია: საორგანიზაციო საკითხები.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ—ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲩ. № 34. ᲢᲔᲚᲔᲤ. 8—81

„ᲠᲝᲐᲠ“-ᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲡᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲑ᭭. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲓ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲠᲔᲘᲮᲡᲢᲐᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲪᲐᲡ

ᲡᲐᲑ᭭.ᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲑ᭭. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲜᲘᲗ.-ᲘᲝᲠᲙᲘᲗ, 1 მარტი. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲝᲑᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲗᲝᲕᲡᲔᲑᲔᲡ „ᲠᲝᲐᲠ“-ᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘᲡᲮᲛᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ

კომინტერნის ათი წლისთავი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ, 2 მარტი. კომინტერნი—დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშო შვილია. კომინტერნი—მსოფლიო ოქტომბრის ორგანიზატორია. გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბელადი და ორგანიზატორის.

თვეს ათ წლის არსებობის განმავლობაში კომინტერნი გადაიქცა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ნამდვილ შტაბად. პროლეტარები ყველა ქვეყნისა, კოლონიების დაჩაგრული მასები, შემეშლოდოდით კომინტერნის მეთაურობით დროშის ქვეშ.

კომინტერნი—მსოფლიო რევოლუციის გენერალური შტაბია, შექმნილი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. გაუმარჯოს მსოფლიო ლენინურ პარტიას!

კომინტერნი ანორგანიზებულს კომუნისტების საფუძველს ჩაუყრიდა. „მარქსის და ენგელსის დიდ ალიერიმს. მუშების და მუშა-ქალების, დღეკეთ მარქსიზმის დროშის ქვეშ, კომინტერნის ლენინური დროშის ქვეშ!

კომუნისტური ინტერნაციონალი კომუნისტთა კავშირის (პირველი ინტერნაციონალის) ისტორიული მემკვიდრე და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სახელოვან ბრძოლა ტრადიციების გამგრძობი. გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის საერთაშორისო არმიას!

„შე-8 კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება—საბჭოების ინტერნაციონალური რესპუბლიკის, კომუნისტების საერთაშორისო გამარჯვების სამარკველი“ (ლენინი). გაუმარჯოს კომუნისტების გამარჯვების მოელ მსოფლიოში! გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას!

კომინტერნის პროგრამა—მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გზის მაჩვენებელი გარკვეული. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—კომუნისტების გამარჯვების ორგანიზატორს!

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ძლეგამსილი ოქტომბრის პარტია მოწოდებულ იქნა კომინტერნისა. გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო ოქტომბრის პარტიას!

ძარს ბურჟუაზიის დიქტატურა! გაუმარჯოს პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურას! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტებს!

იმპერიალისტური მთავრობები ახალ ომებს აშზადებენ იმპერიალისტური მონიობის განსაკუთკიკუთხად. კომინტერნი აშზადებს ნოადას, რომ იმპერიალისტური ომი გადაიქცევს სამოქალაქო ომად, რომელიც ერთადერთი სამართლიანი ომია მონებისა თავის ბრძანებლებისა წინააღმდეგ. გაუმარჯოს კომინტერნს—ოქტომბრის ორგანიზატორს!

პროლეტარული დიქტატურის გამარჯვება 1917 წლის ოქტომბერში საერთაშორისო პროლეტარიატის ულდიანი ბანერა ამაღლებადა. ლენინი და სამოდამო სახელი 1917 წლის დიდი ოქტომბრის გმირებს!

ოქტომბრის რევოლუციამ მოაზღინა მუშათა კლასსა მშრომელ ხალხთა ძარიათად ბასებთან ერთად ლენინური კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. გაუმარჯოს მუშათა და მშრომელ ხალხთა მებრძოლ კავშირს!

მთელ მსოფლიოში კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ხალხები ირაზმებიან

კომფერენცია ციმერვალდსა და კინტალში

1915 წლის სექტემბერს ციმერვალდში (შვეიცარია) გაიმართა სოციალისტების პირველი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის ოფიციალური თაოსნობა ეკუთვნოდა იტალიის სოციალისტურ პარტიას. ძირითადი წინადადება იყო მხოლოდ იმ მემარცხენეების მოწვევა, რომელიც საერთაშორისო სოლიდარობის პოზიციაზე იდგნენ და ებრძოდნენ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. მაგრამ უკვე ივლისის წინასწარ თათბირზე გამოირკვა, რომ გეზი უმთავრესად აღებული იყო. „ცენტრის“ მოსაწვევად, კერძოდ, გერმანის ცენტრისა, რომელსაც მეთაურობდენ გაზეტა. კაუცკი და ბერნშტეინი.

კონფერენციის ორგანიზატორებს ხურდათ ცენტრთან დაახლოვება. ასეთი განწყობაზეა დაფუძნო კონფერენციის შემადგენლობის. უკვლაზე გავლენანი დელეგაცია—გერმანიის დელეგაცია 10 კაცისაგან შემდგარა. აქედან 5—6 კაცი, ლედებურის მეთაურობით, ქანაობდნენ ლიკვიდატორა და კაუცკის შორის. მათ თავისა პრინციპების ზედგავლენით არ შეეძლოთ მხარი დაეჭერათ სამხედრო კრედიტებისათვის, მაგრამ კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემას ვერ ბედავდნენ ცუდად გაგებული პარტიის მოლიანობის შენარჩუნებისათვის.

გერმანის სოციალ-დემოკრატის თანამიმდევრობითი რევოლუციონერი ფრთის (ლიბკნეხტის ჯგუფის) წარმომადგენელი იყო მხოლოდ ბორხარდტი. საფრანგეთის ორ დელეგატს ეჭირა თუქცა მემარცხენეგ, მაგრამ სამკვიდრეს მოკლებული პოზიციისა; ისინი ვერ ბედავდნენ ლაპარაკს მე-8 ინტერნაციონალის შექმნის შესახებ. ბალკანეთის ფედერიალისტების წარმომადგენელი რაკოვსკეც შემარიგებლობისაკენ იხრებოდა და მან მე-2 ინტერნაციონალის მიმხრეზედ გამოაცხადა თავი. დაახლოვებით ასეთისავე სურათს წარმოადგენდნენ ბოლშევიკნი და ინტერნაციონალის დელეგატები. ამ ჯგუფებს მხარი დაუჭირა რუსეთის დელეგაციის ნაწილმა: აქსელროდმა და მარტოვმა (მენშევიკური ცენტრის წარმომადგენლებმა), ტროცკემ, პარაზნის „ნაშე სლოვოს“ წარმომადგენელმა, და სოც.-რევოლიუციონერების დელეგატებმა ბობროვმა და გარდენინმა.

კონფერენციის მარქსისტული მემარცხენე ფრთა სულ 7-8 კაცისაგან შესდგებოდა. ამ ფრთაში შეეიდნენ ლენინი და ზინოვიევი, რომელნიც იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრ წარმომადგენელნი, ლატვიისა და პოლონეთის ოსოზაციის დელეგატები, შვეიცარია და ნორვეგიის დელეგატები და გერმანელი ბორხარდტი. ვინაიდან კონფერენციაზე უმრავლესობას შეადგენდნენ ცენტრისტები და მეორეები დამდგარიყო „ორთოდოქსულ“ პოზიციაზე და გაეზრახებია ლენინელი ინტერნაციონალური ომის სამოქალაქო ომად გარდაქმნის შესახებ და სხვ. ხელო მემარცხენეთა გავლენით კონფერენციამ მიიღო მანიფესტი, რომელშიაც, თუმცა ბუნდოვანი ფორმით, მაგრამ მაინც აღნიშნა თითქმის ყველა მებრძოლი ჭეშეული სოციალისტების ბრძოლა ომის დასამკვიდრებლად რუსეთის რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატიაში და ამ რევოლიუციონერი სოციალ-დემოკრატების ბრძოლისა ყოველგვარი სახის მოღალატეობისა და მერეფობასთან არა მარტო რ. ს.-დ. მ. პ.-ს რიგებში, არამედ სხვა პარტიებშიაც, დამთავრდა ბერნშტეინ-ბოლშევიკების საზღვარგარეთული სექციების კონფერენციაზე.

ეს კონფერენცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მე-8 ინტერნაციონალის მომზადების საქმეში, კონფერენცია 1915 წლის მარტს სხდომაზე მეუღრთდა პარტიის ც. კ.-ის მანიფესტს, რომელიც გამოქვეყნდა „სოციალ-დემოკრატ“-ის № 33-ში, და მიიღო რეზოლიუციია ომის ხასიათის, სამშობლოს დაცვის ლოზუნგის, მე-2 ინტერნაციონალის გაკოტრების, მე-3 ინტერნაციონალისათვის ბრძოლის, პაციფიზმის, მშვიდობიანობის ლოზუნგის, მეფის მონარქიის დამარცხების და სხვა პარტიებისა თუ ჯგუფებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

კონფერენციამ შეაფასა პოზიცია პლეხანოვისა, მარტოვისა, ტროცკისა და სხვა ჯგუფებისა, რომლებიც ან „ეარა ბუზნესა“ ან „ეარეეკ ბუზნესაკენ“ ანმ მიჩეეკ, შემარიგებელ, თანამიმდევრობას ადგილებულ ბაზს ეგანენ. ისეთი ჯგუფების შემარიგებლობა, როგორც იყო ტროცკის ან ლედებურის (გერმანია) ჯგუფი, მაშინ იმი გამოიხატებოდა, რომ ისინი, მეშმიდნენ რა სოციალ-შოვინისტების პოზიციას, ამავე დროს პარტიის ძირდამაბალ მოლიანობისათვის ხელრიდ ლენინ, ბალაბანოვ, ოლიანოვ, ინდიდოვის, ავსტრალიისა და ამერიკის დელეგატები.

მეორე კონგრესი თითქმის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა კომინტერნის ისტორიაში. არც ერთ კონგრესზე ლენინს ასეთი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. მან გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ძირითადი ამოცანების შესახებ, მონაწილეობა მიიღო კამათში კომპარტიების როლის შესახებ რევოლიუციაში და გააკეთა მოხსენება ნაციონალური და კოლონიალური საკითხების შესახებ (თეზისები მანვე წარადგინა). შემდეგ ლენინმა მონაწილეობა მიიღო კამათში კომინტერნში შესვლის პირობებისა, პარლამენტარიზმისა და მუშათა პარტიაში (ინგლისი) შესვლის საკითხის არგვლივ.

კომინტერნის მუშაობას ძალიან შეუწყო ხელი კონგრესის წინ გამოსულმა ლენინის ბროშურამ „მემარცხენეობის საყმაწვილო ხენი კომუნიზმში“, ამ ბროშურაში რუსეთის გამოცდილების საფუძველზე ახსნილი იყო

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ

ᲑᲐᲚᲐᲚᲐᲙᲘ

ᲑᲐᲚᲐᲚᲐᲙᲘ

ᲑᲐᲚᲐᲚᲐᲙᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 3 ᲛᲐᲠᲢᲘ 1929 წ. № 50 (2396)

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲣᲜᲒᲔᲠᲜᲘᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲐᲛᲮ. Ე. ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ*)

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 2 მარტი. ამხანაგებო, სანამ შეკითხვებიდან ჩვენი მუშაობის მეორე საკითხს — „პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესებას, პარტიის წმენდას, მისი მორალური დონის ამაღლებას, პარტიის მთლიანობის დაცვას, მისი ავტორიტეტის დაცვას, უპირველეს ყოვლისა, უპასუხებ იმ კითხვებზე, რომელიც აქ ალძრა ერთ-ერთმა ამხანაგმა—ეს არის ჩვენი საკონტროლო კომისიების სოციალური შემადგენლობის საკითხი. თუ ავიღებთ საკონტროლო კომისიების პარტიული კოლეგიების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარეთა მოადგილეებს, აგრეთვე მდივნების შემადგენლობას 176 საკონტროლო კომისიაზე (მე ცნობას ვიღებ საკონტროლო კომისიების 103 ხელმძღვანელის შესახებ), სოციალური მდგომარეობის მხრივ მივიღებთ ასეთ სურათს: მუშები—77,4 პროც., გლეხები—4,6 პროც. და მოსამსახურეები—15 პროც., ამასთან, მათ შორის 79,4 პროცენტს აქვს დაბალი განათლება; 5,85 პროცენტს—უმაღლესი განათლება. ეს ცნობა, ჩემის აზრით, მოწმობს იმას, რომ ჩვენი საკონტროლო კომისიების სოციალური შემადგენლობა ჯერჯერობით სიმაღლეზე სდგას, მისი გამუშურების, მრავ. რომ აქ არის ნამდვილი პროლეტარული შემადგენლობა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ

1928 წლის პირველი ნახევარში 20 ორგანიზაციაში რომლებიც შეადგენენ ჩვენი პარტიის შემადგენლობის დაახლოებით 62 პროცენტს, საკონტროლო კომისიებმა პასუხისგებაში მისცეს 22.925 კომუნისტი, ე. ი. ამ ორგანიზაციების 3,4 პროცენტი. ამგვარად, თუ ავიღებთ მთელ პარტიულ ორგანიზაციას, ნახევარი წლის განმავლობაში საკონტროლო კომისიებში გაიარა დაახლოებით 5 პროცენტმა, ანასთან, პირველ ნახევარში გამორიცხულ იქნა 7.556 კაცი ანუ საერთო რიცხვის 1,1 პროცენტი. დანარჩენ 16.069 კაცს მიესაგზა სხვადასხვა პარტსასჯელი. თუ ავიღებთ პარტიულ პასუხისგებაში მიცემულთა, შემადგენლობას, მივიღებთ დაახლოებით ასეთ სურათს: პარტიულ პასუხისგებაში მიცემულთა შორის პროცენტულად ყველაზე მეტს შეადგენენ მხამსახურეები, მერე გლეხები, შემდეგ მუშები: მოსამსახურეები: 12.933 კაცი, ანუ 5,1 პროცენტი, გლეხები 1.779 ანუ 2,4 პროც., მუშები 7,203 ანუ 2,4 პროცენტი.

ᲚᲝᲗᲝᲠᲝᲒᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ

თუ ავიღებთ დანაშაულის მიხედვით ლოთობისათვის გამორიცხულთა პასუხისგებაში მიცემულთა 24 პროც. ამს, ლარინს შეუძლია აქ აღნიშნოს, რომ პარტია სრულებითაც არ ფიქრს გულგრილობას ლოთობის მიმართ. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენში ზოგჯერ სულ სხვა თვალით უყურებენ ამ მოვლენას, ხუციერად ეგზორცნიან მას. იმის ფიქრი, რომ 1.500.000 კომუნისტიდან ყველანი ისეთი წმინდანები არიან, რომ პირს არ აკარებენ მაგარ სასმელს, შემცდარია. ეს იქნებოდა მაგარი სასმელების უარყოფელი სექტა და არა პარტია 1.500.000 კაცისაგან შემდგარი, რომელთა შორის არიან მუშები და გლეხები, რომლებიც სხვაგვარ პირობებში ოზრცხინდნენ. იმის ფიქრი, რომ ყველა ისინი სრულებით არ სვამდნენ მაგარ სასმელებს—უტოპიაა. ზოგი კი ასე წუწყეტს საკითხს, როცა ისეთივე რომელიმე კომუნისტის გამოსადეგობას პარტიაში მუშობისათვის—ეცა და ეს დიდ არაფერს წარმოადგენს, სამაგიეროთ მაგარ სასმელს ახლო არ ეკარებო. არის ისეთი შემთხვევები, როცა უმნიშვნელო დალეგისათვის პარტიიდან რიცხავენ ისეთ კაცს, რომელსაც დიდი რევოლუციონერი წარსული აქვს. რასაკვირველია, ჩვენ ვალდებულნი ვართ მკაცრი ბრძოლა ვაწარმოოთ კომუნისტების ლოთობასთან, მაგრამ ფფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა საკითხისადმი სწორი არ არის ძალიან ზშირად ხდება, რომ ის ხალხი, რომელიც პარტიიდან რიცხავს, გაცილებით მეტს სვამს, ვიდრე გამორიცხული; ეს უნდა ვალიაროთ (ხმები: „სწორია“ ტაში). მე, ამხანაგებო, რასაკვირველია, წარსულის გამოცდილებით ვიცი, რომ ალბოჩნდებიან ისეთნი, რომელნაც იტყვიან: აი, ხედავთ, იარსებოდს�აკითხს უყურებს ისე, რომ სმა შეიძლებოო. სრულებითაც არა. მე ვფიქრობ, რომ პარტიის არა მარტო ყოველი წევრი აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის, არამედ მთელი პარტია აგებს პასუხს მისი მოქმედებისათვის, სანამ იგი პარტიის წევრია. ამიტომ პარტიის წევრს არა აქვს უფლება დაფრენს და სახელი გაუტეხოს პარტიას მუშებისა და გლეხების თვალში. მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ჩაეარდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ პასუხი არ აგოს თავისი მოქმედებისათვის, მაგრამ არ შეიძლება შემთხვევითი ლენინის დალეგის გამო, რომელიც ოდნავაც არ ეშურკნება პარტიის ავტორიტეტს, გამოგრიცხოთ კაცი პარტიიდან.

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 49.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გადადგენარ სხვაგვარ პარტიულ დანაშაულზე. აქ პირველი რიგში სდგას ბრძოლა პარტიულ გადაუყვანლებლათა დამოლეველებთან, ტროცკისტების, დეცისტების და სხვათა ფრაქციული მუშაობისათვის.

ფრაქციული მუშაობისათვის გამორიცხულია პასუხისგებაში მიცემულთა 59 პროცენტი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიიდან არ რიცხავენ ყველა ამას, ვინც მონაწილეობას იღებს ფრაქციულ მუშაობაში; ეს იმას ნიშნავს, რომ „ძმაბიჭების ნაწილი გამოსწორდა და ხელი აიღო ფრაქციულ მუშაობაზე. ამაზე ეს ქვეყნიერ დაწერილთაგან ვეღარკაკ.

უკიბრალობისა და ხასელმწიფო კონტროლის უნაყოფოდ ბარგვნისათვის პასუხისგებაში მიცემულთა 2.280 კაცი და გამოგრიცხეთ 351 კაცი ანუ 15 პროცენტი.

მე ვიცი, ელადმერ ილიჩი საკრძოდ სთვლი და გადაშვრეთ ბრძოლას გამფლანგველებთან და მექრთამეებთან. ამს. ეურსკენ იგი სწერდა, რომ საკრძოა დაუყოვნებლივ შეტანილ იქნას კანონპროექტი მექრთამეობისათვის დასჯის შესახებ (ერა ფაგითანეს 1918 წლის 8 მაისისა).

„საკრძოა დაუყოვნებლივ დემონსტრატიულ სიმაგალითი იქნას შეტანილი კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ქრთამისათვის (ანგარება, მოსყიდვა, ფულისაგანა ქრთამისთანის და სხვა ამგვარი) დაწესებულ იქნას სულ ცოტა 10 წლის დაპატიმრება და ამის გარდა კიდევ ათ წლის იძულებითი მუშაობა“.

ეგი სავსებით მართალს ამბობს ქრთამზე, ამგაოებს, მოსყიდვის და სხ. წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რადგან ჩვენ ვგიდგებოდეთ და დღესაც ვგიდგებეს ზარსაულთა ამ ნაშთის აღ მოგზავრა. მაგრამ ზოგჯერ ვხედებთ ისეთ ხალხს, რომელიც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა ანა ბოროტმოქმედების გამო, არამედ ძალიან ადვილად ამის გამო, რომ გამოიყენეთ ი

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიურ უმსგავსოების მსხვერპლი

ძველი (სკოლის) რეჟიმი საუცხოოდ აქვს გადმოცემული თავის მოგონებაში აკაკი წერეთელს. ოთოზი და მათრახი მეფის რეჟიმის სიმბოლო იყო. ის ბატონობდა ყველგან და ყველაფერში. მას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი აღზრდა-სწავლების დარგშიაც. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნიკოლოზის მთავრობამაც შეიგნო რა ბარბაროსობა იყო ოთოზი სკოლაში და ის თითქმის გადაეარდა. ნიკოლოზის რეჟიმთან ერთად წარსულს ჩაბარდა ძველ სკოლაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებანი. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია ძველი მართვა-გამგეობის აპარატი, მან ძირფესვიანად გარდაქმნა სწავლა-აღზრდის საქმეც.

ჩვენი სკოლა—არის სკოლა სოციალისტური საზოგადოების. აქედან გამომდინარეობს ახალი სკოლის ბუნება, მისი მუშაობის შინაარსი, ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა და სხვ. ჩვენს დროში ვილურობა იქნებოდა სწავლა-აღზრდის საქმეში რაიმე ფიზიკურ ზეგავლენის მეთოდების გამოყენება. ტყიდან გამოვარდნილი, გუეი უნდა იყვეს ის „პედაგოგი“, რომელიც საბჭოთა სკოლაში შეეცდება ასეთი მეთოდების დაკანონებას.

მიუხედავად ამისა შესაძლებელია, რომ ითთო ოროლი ჩვენ სკოლიდან ეხლაც გამოვიდეს ისეთი მომავალი მოღვაწე, რომელიც აკაკი წერეთლის მიერ მოცემულ სურათზე უფრო შავი სალებავებით ასწერს იმ რეჟიმს, რომელიც გამეფებულია ამ სკოლებში. კურიოზები უყვიარს ბუნებას. რა გასაკვირია, რომ კურიოზს სკოლის ცხოვრებაშიც ჭქონდეს ადგილი. ამიტომ არაფერი მოულოდნელი არ იქნება, თუ, მაგალითად, ს. ბუკისციხის (გურია) შვიდწლედის ეხლანდელი მოწაფეები ტკბილი სიტყვით არ მოიხსენიებს თავიანთ სკოლას.

არის ამ სკოლაში მასწავლებელი ქალი ნინო კეკელიძე. ნინო კეკელიძეს სრული უფლება აქვს გამაცხადოს, რომ ის მარჯვე მკლავის პატრონი ქალია. კეკელიძე ქალი ხელით უფრო მუშობს ბავშვების აღზრდაზე, ვიდრე თავით. მოწაფეების წარა-მარა ცემა-ტყეპა ამ მანდილოსან „პედაგოგის“ საყვარელი პროფესიონალური ჩვეულებაა.

აღსანიშნავია, რომ ამას მისჩერებიან სხვა მასწავლებლები და კრინტსაც არაავინ სძრავს კეკელიძის ქალის დაუშვებელ საქციელს წინააღმდეგ. არ უნდათ ვისმე აწყენინონ, ვისიმე საყვედური დაიმსახურონ. ამ მოსაზრებას, რომელიც ყოველად გაუმართლებელია, თავისი მიზეზი აქვს. საქმე ისაშია, რომ ნინო კეკელიძე შვიდწლედის გამგის მეუღლე გახლავთ.

და ეს ყოველივე ხდება ერთ-ერთ მოწონავე კუთხეში—გურიაში.

არანაკლებ „სასახელოა“ და ამავე დროს აღმაშფოთებელი ამ მხრივ მეორე მასწავლებელ ქალის ეფროსინე სალიას მოღვაწეობა. აქ უკვე მიღწეულ და გადაახტულია მოწაფეთა ცემა-ტყეპის რეკორდი. სალიას ქალი მასწავლებლობს ზეგიდის მაზრის სოფელ ანაკლიას ოთხწლედში. აკაკი წერეთლის მოგონებაში აწერილი მასწავლებლები სახაზავით უხეოქავდნენ მოწაფეებს ხელის გულებს. სალიასის ქალმა ამ დარგში დროის „შესაფერი“ გაუმჯობესება შეიტანა. მან სახაზავი მეტროს საზომით შესცვალა, ხოლო ბავშთა ხელის გული — თავებით.

წარსული წლის 14 დეკემბერს ფიზიკურ ზეგავლენის მეთოდების მოტრფიალე პედაგოგმა—ეფროსინე სალიამ ჩვეულებისამებრ სცემა მეტროთი ოთხ მოწაფეს. ერთ-ერთს ამ ოთხში ყველაზე მეტი მოხვდა. სალიას ქალს მორიგ ექსპერიმენტმა მეტად ტრაგიკული შედეგი მოიტანა. მოწაფე კაკო გურგენაძემ თხემის ძვლების მიდამოებში აღმოაჩინა ჭრილობა სამი სანტიმეტრის სიგრძეზე. ამ შემთხვევის გამო ბავშვმა დაჰკარგა მხედველობა. შემდეგ მდგომარეობა უფრო გართულდა. ბავში ძმინე ავად გახდა. მშობლები იძულებული იყვნენ ის წაეყვანათ ზუგდიდის საავადმყოფოში. 10 თებერვალს მოწაფე კაკო გურგენაძე გარდაიცვალა...

ჭეშმარიტად გაუგონარი უმზგავსობაა ჩვენს პირობებში. ჩვეულებისამებრ, ჩვენ ვიტყვით—დამნაშავეებმა სასტიკი პასუხი უნდა აგონ. მაგრამ სა კითხი ხომ ამით არ ამოიწურება? ყველასათვის ცხადია, რომ მოწაფეთა ცემა-ტყეპას შეჩვეულ მასწავლებელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოთა სკოლაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ბაინც გვაქვს იმის მაგალითები, რომ ნეტარხსენებული როზგის რეჟიმი ჯერ კიდევ ყველგან არ აღმოფხვრილა. ამაში მთელ საბჭოთა საზოგადოებრივობასაც ერთად პასუხისმგებელია თვით მასწავლებლებაც. განა ფაქტი არ არის, რომ სალიები და კეკელიძეები სისტემატიურად აწამებენ ბავშებს? კაკო გურგენაძე მხოლოდ ერთ-ერთი და შემთხვევითი მსხვერპლი გახდა იმ ბრბისა, რომელსაც პედაგოგთა შორის თითო-ოროლა მახინჯი სრადის საბჭოთა სკოლაში. ნუ თუ ყოველივე ეს ფარულად ხდება? ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსახლეობის ჩამორჩენილი ნაწილი ასეთ მოვლენას გულდამშვიდებით მისჩერებია. ზოგიერთს ბავშზე ფიზიკური ზეგავლენა აღმზრდელობის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნია. მაგრამ რას ფიქრობენ ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელნიც ასეთ სურათს მისჩერებიან, რით უპასუხებს ამაზე თვით მასწავლებლობა, რომელიც ხშირად უშუალო მოწმეა ამგვარი უმზგავსობის?

ბუკისციხის და, განსაკუთრებით, ანაკლიის მაგალითი უნდა გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ საზღვარი დაედგას ამ სამარცხვინო მოვლენას პედაგოგიურ მუშაობაში. თვითეული მასწავლებელი, რომელიც შეეხება მოწაფეს ფიზიკურად, არა მარტო უნდა განიდევნოს სკოლის კედლებიდან, არამედ საჯაროთ ერდა იქნეს გასამართლებული. საბჭოთა პედაგოგის სახატო სახელის ამგვარი შემლახველი, სამარცხვინო ბოძზი უნდა გაიკრთ.

ყოფ. მასწავლებელი.

სტიპენდია კულაკის შვილს

დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშებისა და გლეხების შვილების აღზრდას. ამ მიზნით მთავრობა დიდ თანხას ხარჯავს, ღარიბ მოწაფეებს და სტუდენტებს სტიპენდიასაც უნიშნავს. მაგრამ ღარიბთა შორის არიან ზოგჯერ კულაკებიც. ისეთები, რომელნიც არ საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას და არც არიან ამის ღირსი.

მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ დარგზე ირიცხება მსმენელად კულაკის ყოფილ მამასახლისის შვილი, სენაკის მაზ. ნოქალაქევის თემიდან აკაკი ბაღათურია, რომელიც სახელმწიფო ხარჯით იზრდება. როგორ მოახერხა მან სტიპენდიის მიღება?

ამის შესახებ ყველაზე უფრო დაწვრილებითი ცნობები მოეპოება ნოქალაქევის თემის ალმასკომის თავმჯდომარე დ. მალანიას. ის აძლევს კულაკის შვილს ასეთ მოწმობას: ეძლევა ესე ნოქალაქევის თემის სოფ. ლებაღათურეს მცხოვრეს—აკაკი ბაღათურიას მასზე, რომ ის არის უკიდურესი ღარიბი გლეხი. ესე მოწმობა მას ეძლევა სასწავლებელში წარსადგენად, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვადასტურებ. ნოქალაქევის თემ-ალმასკომის თავმჯდომარე **დ. მალანია.**

ასეთი შინაარსის მოწმობა არის თბილისის სახ. უნივერსიტეტის საბუთებში. ეს აშკარა სიყალბეა, რომლისთვისაც დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

მეხი.

დაუსჯელი და დაწინაურებული ბოროტმოქმედნი

მფლანგველები და კომბინატორები ბევრ შემთხვევაში ადვილად არჩენენ თავს სასჯელს—ხშირია მაგალითები, როცა გამფლანგველებს ღებულობენ ახალ, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. — ბოროტმოქმედთა „წახალისება“ ძვირად უჯდება სახელმწიფოს, ის ხელს უწყობს უპასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცებას.— სასაღსრო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანოებში ეს ნაკლი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

დირექტივა იმის შესახებ, რომ გამფლანგველების მიღება სამსახურში ყოველად დაუშვებელია, ხშირად მარტო ქაღალდზე რჩება. ბევრჯერ ხდება, რომ გაფლანგვისათვის პასუხისგებაში მიცემული პირი, ერთი ორი კვირის პატიმრობის შემდეგ, თავისუფლად დასეირნობენ ქუჩებში, ან ზოგიერთ შემთხვევაში სრულებით არ ნახულობენ გამსახლის კარებს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ფაქტები:

1) საქ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის 1928 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით პასუხისგებაში იქნენ მიცემული სატყეო ტრესტის სენეთის რაიონის გამგე სიმონ შუბლაძე და ამავე დამამზადებელი რაიონის უფროსი პორფილე ფანჯავიძე, ვინ არიან ეს ვაუბატონები? პირველი, სიმონ შუბლაძე ცნობილი კომბინატორია, რომელმაც სატყეო ტრესტიდან „გაქაფა“ არა ერთი ათეული ათასი მანეთი, ის ჯერ კიდევ 1925-26 წლში ახალციხის რაიონში ამზადებდა ხე-ტყეს, დამზადებულ ხის მორებს ტივებად შეკრულს ჩამოაცურებდა თბილისამდე ტრესტის სახელზე, ხოლო თბილისში, ტრესტის მაგიერ მორები მიდიოდა კერძო პირების ხელში და ეს უკანასკნელები ტრესტს კონკურენციასაც უწევდნენ. ასეთი „ოპერაციებით“ ს. შუბლაძემ ბლომად შეაგროვა ფულები და ბორჯომში, კარგა მოზრდილი სახლი შეიძინა, რომელიც შემდეგ სატყეო ტრესტს მიჰყიდა 15.000 მანეთად. ასეთი „მუყაითობისათვის „შუბლაძე გადაიყვანეს სვანეთის რაიონის გამგეთ, სადაც მას დახვდა დამამზადებელი რაიონის გამგეთ ფანჯავიძე, რომელსაც აგრეთვე „ღირსშესანშნავი“ წარსული აქვს.

შუბლაძე და ფანჯავიძე შეხამტკბი ლობოლად შეუდგნენ „მოღიაწეობას“. გააუქმეს ხე-ტყის ლიმზადების საორიენტო ბარათები (აორიცხეა ხომ ხელს შეუშლიდა მათ!), შეუდგნენ მუშაობას თავიანთებურად. ოეცარმა რევიზიამ აღმოაჩინა 410.000 კუბ. ფუტის ხე-ტყის დანაკლისი, რაც ფულად, თვითღირებულების მიხედვით, შადგენს 52.000 მანეთს.

გარდა ამისა ფანჯავიძემ, შუბლაძის დასტურით შესცვალა ადრე დადებული ხელშეკრულება ეკრძო მოიჯარადრე შონიასთან, რომელსაც მისცა დამატებით 24.000 მანეთამდე, ეს მაშინ, როდესაც სხვა 15-მდე მოიჯარადრის შეასრულა პირობები შეუცვლელად.

ამასთან ერთად შუბძალე-ფანჯავიძეს მოყავდათ მუშებათ მათი ნათესავები და ახლობლები შორეულ მაზრებიდან. ამ მუშების ჩამოყვანაში და მათ შენახვაში, სანამ საქმეს დაიწყებდნენ, დაიხარჯა ზედმეტი 14.000 მანეთი. მუშებზე უფროსის „ოსტატობის“ საქმეში ტრესტს აზარალეს 6.000 მანეთი.

ყოველივე ამის შესახებ პრეზიდიუმის დადგენილება, მოზრდილი საქმე 221 ფურცელზე, კარგად შეკინძული მიუვიდა რესპუბლიკის პროკურორს 1928 წლის 28 ნოემბერს, რომელიც საპროკურორო განყოფილების განკარგულებით სრულიად განუხილავად გადაეგზავნა ზუგდიდის მაზრის პროკურორს. აქ, ალბად, ის გადასცეს. რომელმე გამომძიებელს და ჯერ-ჯერობით ამით გათავდა საქმე.

გაიგეს თუ არა ეს შუბლაძემ და ფანჯავიძემ, დატრაილდნენ, შეუდგნენ ახალი სამსახურის ძებნას, იქნებ გონიათ ბევრი დაგვიანდათ! სრულებითაც არა. საჭირო იყო რომელიმე ტრესტისათვის მიემართნათ და საქმეც მზად იქნებოდა. შუბლაძე მიდის მარგანეცის ტრესტში, აძლევს განცხადებას და ხელად ინიშნება ჭიათურაში რგანის რაიონის ტეხნიკოსად, 400 მანეთიან ჯამაგირით. ეს მაშინ, როდესაც ის სატყეო ტრესტში ღებულობდა 200 მან.

ბ. ფანჯავიძეს კი უფრო ნაკლები სიარული შეხვდა ახალი ადგილის საძებნელად. მისი საქმეა ხე-ტყე და ისიც უთუოდ სვანეთის რაიონში, წინეთ თუ ფანჯავიძე ზუგდიდის მხრიდან იყო მიმდგარი სვანეთის ტყეზე, ეხლა მან პირი იბრუნა და რაკა-ლეჩხუთის მხრიდან მოუარა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან დაიწყო მოლაპარაკება სვანეთისა და რაჭა - ლეჩხუთის აღმასკომებთან. საქმეც მალე გაიჩარხა. მოლაპარაკება დამთავრებულია და ფანჯავიძეც ჩქარა შეუდგება „მუშაობას“.

მეორე მაგალითი:

საქ. ს. მ. უ. ს. ახალ მშენებლობათა სამმართველოში ჩადგენილ გაფლანგვის გამო ინქ. ანდრონიკაშვილს მისჯილი ქონდა 10 წლის სასტიკი იზოლიაცია. არ გასულა სასჯელის ერთი მეათედი დროც და მას ვხედავთ ვეებერთელა წარმოების სათავეში. ანდრონიკაშვილი ჩაუდგა სათავეში ბზიბის (აფხაზეთში) აღმშენებლობას.

მესამე შემთხვევა: ს. მ. უ. ს. ლითონტრესტში მთავარ პუხჰალტერის თანამდებობაზე მსახურობს მოქ. ალქსანდრე ფროლოვი:

როგორი წარსული აქვს მას? 4 წლის წინათ, როდესაც ფროლოვი მსახურობდა სამხედრო უწყებაში საფინანსო ნაწილის გამგედ, მას შემოეკალა სახაზინო ფულები. მიცემული იქნა პასუხისგებაში და მიესაჯა უმაღლესი სასჯელი, შემდეგ განაჩენი შეეცვალა 10 წლ. სასტიკ იზოლიაციით. არ გასულა ერთი წელიც და ფროლოვი სრულიად განთავისუფლდა. დღეს კი ის ლითონტრესტის მთავარი ბუხჰალტერია.

კიდევ მაგალითი: სააქციონერო საზოგადოება „სამშენ“-ში მსახურობს ინქ. მ. მაღლაკელიძე, რომელმაც სატყეო ტრესტში მუშაობის დროს, როგორც მამგონის ბანკის ქარხნის აღმშენებლობის ხელმძღვანელმა, აზარალა ტრესტს 10.000 მანეთამდე, თვითონ უკანონოდ მიიღო 1.000 მანეთამდე და არ შეასრულა დადებული პირობა შამგონის ქარხნის ტეხნიკური ანგარიშების შედგენის შესახებ. მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია ამისათვის. პირიქით, მაღლაკელიძე ეკონომიურად უკეთეს პირობებში მოეწყო. სატყეო ტრესტში ღებულობდა 250 მანეთს, „სამშენ“-ში კი ღებულობს 350 მანეთს თვიურად.

მეხუთე შემთხვევა: ინქ. მოლჩანოვი ხელმძღვანელობდა ტყიბულის მაღაროების საბინაო აღმშენებლობას. მან სამთო ტრესტ მიაყენა 500.000 მ. ზარალი. მოლჩანოვის ხელმძღვანელობით აგებული სახლები ხელახლა გასაკეთებელია. როგორც კი მოლჩანოვი გადაიყრა მოკლე დროით პატიმრობას, ხელად მოეწყო სატყეო ტრესტში. სატყეო ტრესტმა ის მიავლინა ახალციხის სახერხი ქარხნის ფესვკეთებლად, სადაც მან მოკლე ხნის განმავლობაში გააჭრო 17.000 მანეთი და სადღაც გაუმზავრა. ტყიბულის საქმეებზე ის მიეკუთვნა პასუხისგებაში, საქმე სასამართლოს ხელშია, ხოლო სად ინავარდობს, დამნაშავე, ამის შესახებ არაავინ არაფერი იცის.

შეიძლება კიდევ მრავალი ფაქტების მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რამდენად მტკივნეულია დღეს ეს საკითხი ჩვენში. კომბინატორები, გამფლანგველები, სახალხო მეურნეობის მანნიბლები ფაქტიურად დაუსჯელნი რჩებიან. ამას ერთნაირად უწყობენ ხელს როგორც ჩვენი დამსჯელი ორგანოები თავიანთი სისტემით, ისე სამეურნეო ორგანოებიც, რომლთაც ზოგჯერ ბრმა იარაღად იყენებენ ყოველი ჯურის საეჭვო ელემენტები.

ნიკ.

კლასიური ხაზის დამახინჯება

(ლანჩხუთი, გურია)

ლანჩხუთის რაიონში არის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც საუკეთესო ნიადაგი აქვს მუშაობის გასაშლელად. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელები საქმეს კარგათ ვერ უძღვებიან, ვერ ატარებენ სწორად კლასიურ ხაზს. აქ კრედიტს აძლევენ კულაკებს. მათი აზრით ღარიბი ვერ გადაიხდის ვალსო. ამხანაგობის ხელმძღვანელნი ხელს უწყობენ კერძო წარმოებებს. ვინმე ვარლამ ებრაელიძის ამხანაგობამ მისცა წარმოების გასაუმჯობესებლათ 1,500 მანეთი, ღარიბ გლეხობას კი სესხს არავინ აძლევს.

საკრედიტო ამხანაგობას უნდა ეწარმოებინა ლუფის ოპერაცია. ლუფა ლანჩხუთში თითქმის ყველა გლეხს ქონდა. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობამ ლუფა ნახევარ ფასად აიღო და ისიც ნისიათ. ფული გლეხობისათვის დღეესაც არ მიუცია.

აღმასკომის მუშაობაც მოისუსტებს. შტატი კი აღმასკომს დიდი ყავს. არის აღმასკომის სამი მდივანი: შ. ჩხარტიშვილი, ს. ურუშაძე და ებრაელიძის ქალი. ეს უკანასკნელი ს. ურუშაძის ცოლის დაა. აღმასკომს ყავს ორი აღმზედრო მაგიდის გამგე და ორი დარაჯი. მიუხედავათ ასეთი შტატისა, აღმასკომის მუშაობა მოისუსტებს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა ეს მრავალ შეცდომებს აქვს ადგილი. გადასახადი შეწერილი აქვს 25 მანეთის რაოდენობით მიხეილ ბარამიძეს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მეურნეობასთან, ის მსახურებს და იღებს ხელფასს თვეში 85 მ. ბათლომე თურნავას შეწერილი აქვს 15 მანეთი, მას არა აქვს კავშირი მეურნეობასთან და ამჟამად უმუშევარია. სამაგიეროთ განთავისუფლებულია სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან კოსტა სამსონია, ვაჟარი, რომელიც აგრეთვე აწევა სოფლის მეურნეობას. ასევე განთავისუფლებულია გადასახადისაგან კულაკი ვ. ებრაელიძე და ტ. იმნაძე, რომლებიც ცნობილი მდიდრები არიან ლანჩხუთის რაიონში, რომელნიც ცხოვრობენ დაქირავებული შრომით.

ძნელია იმის თქმა, თუ რით აიხსნება ყველა დასახელებული უმზგავსოებანი —ბოროტმოქმედებით თუ დაუდევრობით. როგორც არ უნდა იყვეს, ერთი ცხადია: საქმე ფუჭდება. მახინჯდება კლასიური ხაზი. ასეთ მდგომარეობას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

გეტ.

რატომ აქვს დეფიციტი ტრესტს

ბევრს გაგონილი ექნება, რომ სოფ. ხორგაში (ზუგდ. მაზ.) 1924 წლიდან არსებობს ხე-ტყის ტრესტის განყოფილება. მას აქვს ერთი სახერხი მანქანა, რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა. ტრესტი ამუშავებს სამ სოფლის ხე-ტყის მასალას: ქალადიდის. ხორგის და ხეთის. სამივე ხსენებული სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა ქარხნის მუშაობაშია ჩაბმული. უკანასკნელ ხანამდე ტრესტის შემოსავალს არა უშავდა, თუ დიდ მოგებას არა, ზარალს მაინც არ ხედავდა, მაგრამ რა ხდება 1928-29 წლის დასაწყისში? ტრესტს დღეს დეფიციტი აქვს. რამ გამოიწვია ეს?

ხსენებული ტრესტის გამგედ არის თარგამაძე. მის მოადგილეთ გეგელია. ეს ხალხი, როგორც აქ ბევრი ლაპარაკობს, ტრესტის „ღმერთებია“.

სად არის თარგამაძე? მივლინებაში: თბილისში, ბათომში, ფოთში, სენაკში და უფრო ადვილად ხორგაში. 15—20 დღე რჩება ის იქ და დღეში 15 მანეთს ხარჯავს. თვითონ არაფერს კარგავს, ეს ფული ტრესტს ეწერება. ჩამოვა თარგამაძე და მიდის მივლინებაში გეგელია. ისიც 15—20 დღე რჩება ტრესტის ხარჯზე თბილისში და ბათომში. აწერიგად თარგამაძე და გეგელია რიგრიგობით ხან თბილისში, ხან ბათომში არიან.

ტრესტს აქვს ქვე-განყოფილებები. ხე-ტყის მასალის მიმღები არის ლაფ (ასე ეძახიან ლავრენტი ჩიქოვანს) ტრანსპორტის საქმეები აბარია ამბროსი ჭოჭუა. ნიკ იმ გზას: ადგიან, რომელსაც მათი უფროსები: თარგამაძე და გეგელია, მხოლოდ იმ განსახვავებით, რომ ლაფ და ამბროსი გლეხობის მოტყუებით ისქელებენ ჯიბეს. ლაფ და ამბროსის მეთაურობით ყოველდღიურად გზის შეკეთებაში იხარჯება 70—80 მანეთი იმ დროს, როდესაც ამის მეათედი თანხა საკმარისი იქნებოდა, რომ წესიერად მიმდინარეობდეს საქმის წარმოება. ამდენი თანხა ყოველდღიურად იხარჯება მარტო ერთ საქმეზე იმიტომ, რომ გზებიდ შეკეთება ხდება დაპპალი შპალებისა, რაც მალე ფუჭდება. აქ ლაფ და ამბროსი სარგებლობენ შემდეგი ხერხით: ტრესტს აწერენ ერთ თანხას, მომუშავეებს კი აძლევენ მეორეს. უფრო ნაკლებს. განსხვავება მათ სასარგებლოდ მიდის.

ისინი განზრახ აკეთებენ გზას უვარგისი მასალებით, რომ სამუშაო ალ გამოიელოს.

ტრესტში მომუშავე პირებიდან არც ერთი არ არის დაინტერესებული საქმის წინსვლილოთ. პირიქით ხელს უშლიან ჩვენს მშენებლობას. განა ასეთ ხალხს გასაჭანი და თავისუფალი ნავარდობის უფლება ენიჭა ქონდეს?

